საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ვაჟას წყარო“

„ვაჟას წყარო”, ნახშირორჟანგიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფშავის არაგვის ხეობაში, მდ. ჩარგლულის შესართავთან, ადგილ. მნიშვნელობის კურორტ ვაჟასწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე. მინერ. წყალი განლაგებულია იურულ-ცარცული ასაკის კარბონატული ქანების ნაპრალოვან ზოლში. საბადოს ჯამური მარაგი (დებიტი) არის 229 მ ^{3}/დღ-ღ. წყლის ქიმ. შედგენილობა:

Image not found or type unknown



ტემპ-რა 11–12°C. მაღალი მინერალიზაციის წყალს (M – 12–22 *გ/ლ)* სეზონურად იყენებენ აბაზანების მისაღებად (წყალს ათბობენ 37–38°C-მდე), დაბალი მინერალიზაციისას (M – 4–12 *გ/ლ*) – სასმელ-სამკურნალოდ. წყალს იყენებენ ძირითადად საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებათა – ქრონ. გასტრიტის, კოლიტის, პანკრეატიტის, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების, ღვიძლის ქრონ. დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობისა და სხვათა სამკურნალოდ.

ტ. ჩიჩუა

ვ. ჯალიაშვილი